

# დამტკიცებულია

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ

ძალაშია 2016 წლის 22 ნოემბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 11 მაისამდე

## განაკვეთები (ტარიფები)

საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების საჯარო შესრულებისათვის (ცოცხალი შესრულებით და/ან მექანიკური ჩანაწერით) მასობრივ-სანახაობითი ღონისძიებების დროს

ნაწარმოებების (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის) საჯარო შესრულება მსმენელთა/მაყურებელთა ფასიანი შესვლისას

ღონისძიების სახეობა	განაკვეთი
ნაწარმოებების საჯარო შესრულება სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური, კამერული და ხალხურ საკრავთა კონცერტების დროს	ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 6.0% მაგრამ არანაკლებ 400 ლარისა
ნაწარმოებების საჯარო შესრულება კონცერტების, მათ შორის თეატრალიზებული, საესტრადო, საახალწლო ნაძვის ხის და „ბალეტი ყინულზე“ წარმოდგენების, ბალეების, ვარიეტეს პროგრამების და სხვა სახის სანახაობების დროს	ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 3.0% მაგრამ არანაკლებ 200 ლარისა
ნაწარმოებების საჯარო შესრულება საცირკო წარმოდგენის დროს	ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 1.5% მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა
ნაწარმოებების საჯარო შესრულება მოდების ჩვენების დროს, ასევე გამოფენებზე, ბაზრობებზე, აუქციონებზე, კინოთეატრებში, ვიდეოსალონებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ/ფიტნეს/სპა ცენტრებში და სხვა სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში	ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 1.6% მაგრამ არანაკლებ 110 ლარისა
ნაწარმოებების საჯარო შესრულება საჩვენებელი გამოსვლების, სარეკლამო, სოციალური და სხვა სახის საზოგადოებრივი თავშეყრის დროს	ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 2.4% მაგრამ არანაკლებ 160 ლარისა

- \* განაკვეთები მსმენელთა/მაყურებელთა უფასო შესვლისას იანგარიშება მასობრივ-სანახაობითი ღონისძიების დროს შემსრულებლ(ებ)ისათვის გადახდილი ჰონორარიდან, ხოლო ჰონორარის არარსებობის შემთხვევაში - ღონისძიების ბიუჯეტიდან.
- \* განაკვეთები შემსრულებლ(ებ)ისათვის გადახდილი ჰონორარიდან გამონაკლისების შემთხვევაში შეადგენს ფასიანი შესვლისათვის დადგენილი განაკვეთების 50%-ს, ხოლო ღონისძიების ბიუჯეტიდან გამონაკლისების შემთხვევაში - ფასიანი შესვლისათვის დადგენილი განაკვეთების 25%-ს.
- \* განაკვეთები მსმენელთა/მაყურებელთა უფასო შესვლისას 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარზე მეტი ბიუჯეტის მქონე მასობრივ-სანახაობითი ღონისძიების დროს, შემსრულებლ(ებ)ისათვის გადახდილი ჰონორარიდან გამონაკლისების შემთხვევაში, შეადგენს ფასიანი შესვლისათვის დადგენილი განაკვეთების 1/3-ს.
- \* მსმენელთა/მაყურებელთა უფასო შესვლისას განაკვეთების გამონაკლისების პირობები არ ვრცელდება მინიმალურ განაკვეთებზე, გარდა იმ მასობრივ-სანახაობითი ღონისძიებისა, რომელიც ატარებს სასწავლო ხასიათს, რა შემთხვევაშიც მინიმალური განაკვეთები მცირდება 50%-ით.
- \* მასობრივ-სანახაობითი ღონისძიებისთვის, რომელიც ტარდება არაუმეტეს 200 პირის დასწრებისთვის გათვალისწინებულ დარბაზში/სივრცეში მინიმალური განაკვეთები მცირდება 75%-ით.
- \* მასობრივ-სანახაობითი ღონისძიებისთვის, რომელზეც ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი აღემატება 300 000 ლარს, განაკვეთები მცირდება 1/3-ით, ხოლო თუ შემოსავალი აღემატება 1 000 000 ლარს, განაკვეთები მცირდება 1/2-ით.

- \* მასობრივ-სანახაობითი ღონისძიებისთვის, რომელიც მუსიკალური აქტივობების გარდა მოიცავს სხვა სახის გასართობ პროგრამას, მათ შორის კემპინგს, გარდა მხოლოდ კვებასთან დაკავშირებული მომსახურებისა და გააჩნია ერთი დღის 10 საათიანი უწყვეტი პროგრამა, განაკვეთები მცირდება 1/3-ით.
- \* მთლიანი შემოსავალი ამ განაკვეთების მიზნებისათვის განიმარტება როგორც ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ მიიღო ბილეთების რეალიზაციის შედეგად.
- \* შემსრულებლებისათვის გადახდილი ჰონორარი ამ განაკვეთების მიზნებისათვის განიმარტება როგორც ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით რომელიც მოსარგებლემ გახარჯა შემსრულებლ(ებ)ისათვის ჰონორარის გადასახდელად.
- \* ღონისძიების ბიუჯეტი ამ განაკვეთების მიზნებისათვის განიმარტება როგორც ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ გახარჯა ღონისძიების განსახორციელებლად.
- \* განაკვეთები შეიცავს დღგ-ს

გიგა კობლაძე  
გამგეობის თავმჯდომარე